

აღსარების შემდეგ წასაკითხი ლოცვები

მ, ყოვლად მოწყალეო უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მომიტევე ყოველნი აურაცხელნი ცოდვანი ჩემნი, რომლითაც შეგაწყინე, ღმერთო ჩემო, რომელთა დასაბამნი აღვიარნე წინაშე შენსა.

მ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, მარადის ქალწულო მარიამ, ევედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩუენსა, რადთა შემინდვნეს ყოველნი შეცოდებანი ჩემნი, ვითარცა სახიერ არს, მოწყალე და კაცთმოყუარე.

ლოცვები ზიარების წინ

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვწყალებ ჩვენ. ამინ.

დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ადავსებ მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვდრე ჩუენ შორის და წმიდა მყუენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგვწყალებ ჩუენ (3-გ ზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვწყალებ ჩუენ; უფალო, გვკსენ და გკლხინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგვრდეგ უშჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო, შეგვწყალებ (3-გ ზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მამო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ
სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი,
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი
არსობისად მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანა-
დებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ
დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის
და უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მუუფესა ჩუენსა, ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა
მუუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვთ ქრისტესა,
მუუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

ფსალმური 50-ე

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და
მრავლითა მოწყალებითა შენითა ავოცე უშჯულოებად ჩემი.
უფრომს განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა
ჩემთაგან განმწმიდე მე; რამეთუ უშჯულოებად ჩემი მე უწყი,
და ცოდვად ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა
შეგცოდე, და ბოროტი შენ წინაშე ვყავ, რამთა განჰმართლდე
სიტყუათაგან შენთა, და სძლო შჯასა შენსა. რამეთუ ესერა
უშჯულოებათა შინა მიუდგა, და ცოდვათა შინა მშუა მე
დედამან ჩემმან; რამეთუ ესერა ჭეშმარიტებად შეიყუარე,
უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ
მე; მასხურო მე უსუბითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და

უფრომს თოვლისა განვსპეტაკენე. მასმინო მე გალობად და
სიხარული, და ისარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარე-
მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უშჯუ-
ლოებანი ჩემნი ავოცენ. გული წმიდად დაჰბადე ჩემ თანა,
ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ
განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა
ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა
შენისად და სულითა მთავრობისადათა დამამტკიცე მე. ვას-
წავლენ უშჯულოთა გზანი შენნი და უღმერთონი შენდა
მოიქცენ. მივსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრე-
ბისა ჩემისაო; ისარებდეს ენად ჩემი სიმართლესა შენსა.
უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნე, და პირი ჩემი უთხრობდეს
ქებულებასა შენსა; რამეთუ უკუეთუმცა გენება მსხუერპლი
შე-მცა-მეწირა; არამედ საკუერთხი არა გთნდეს. მსხუერპლ
ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და
დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხოს. კეთილი უყავ,
უფალო, ნებითა შენითა სიონსა, და აღემუნენ ზღუდენი იერუ-
სალემისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლ სიმართლისად, შესა-
წირავი და ყოვლად-დასაწუველი, მაშინ შეიწირნენ საკურ-
თხვეელსა შენსა ზედა ზუარაკნი.

გალობანი, ჳმად 2.

გალობად 1.

ძღისპირი: მოვედით, ერნო, უგალობდეთ გალობითა
ქრისტესა, რომელმან სასწაულითა ერი თვისი ივსნა ევჰპატიო
მონებისაგან, ძღვევისა გალობითა, რამეთუ დიდებულ არს.

გული წმიდად დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა.

პურ ცხოვრებისა საუკუნომსა მექმენინ ჯორცი წმიდად შენი, მოწყალო უფალო, და პატიოსანი სისხლი შენი, სენთა მრავალფერთა განსაკურნებლად, ვითარცა მოწყალე ხარ.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

სისხლსა მას შენსა, მეუფეო, ყოვლადპატიოსანსა და ჯორცსა შენსა ყოვლადწმიდასა ღირს-მყავ მე, არა ღირსი, მოღებად ჭამად და სუმად სურვილით და სარწმუნოებით, ვითარცა მოწყალე ხარ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

შევიგინე მე, საქმითა ბოროტითა, საწყალობელი და უხრწნელისა ჯორცისა და საღმრთომსა სისხლისა შენისა უღირსი ესე, კუალად ზიარებასა ღირს-მყავ, ვითარცა მოწყალე ხარ.

ჴ, ქუეყანაო კეთილო, კურთხეულო სძალო ღმრთისაო, რომელმან უმუშაკოდ გამოიღე თავწარსხმული ცხოვრებად სოფლისა, ღირს-მყავ მე ჭამად ამისაგან, რამთა ვსცხოვნდე და გადილებდე.

ძლისპირი: კლდესა ზედა სარწმუნოებისასა დამამტკიცე და განავრცე პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა, და ასარე სულსა ჩემსა, რამთა ჯმა-ვეო ღმრთისა ჩუენისა.

გული წმიდად დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა.

ნაკადულნი ცრემლთანი, ქრისტე, მომძაღლენ მე ბილწებათა გულისა ჩემისათა განწმედად; რამეთუ წმიდითა სუნდისითა განათლებული სარწმუნოებით მოვიდე შიშით, მეუფეო, ზიარებად საიღუმლოთა შენთა.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

მოსატყვებელად ცოდვათა ჩემთა მექმენინ მე უხრწნელი ჯორცი შენი და საღმრთოდ სისხლი-სულისა წმიდისა ზიარებად და ცხოვრებად საუკუნოდ, კაცთმოყუარეო, და ვნებათა და ჭირთაგან გამომქსნელად, მაცხოვარ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ღირს-მყუენ ჩუენ, უფალო, ჯორცსა შენსა ზიარებად დაუსჯელად და სისხლსა შენსა პატიოსანსა-განწმედად სულთა და ჯორცთა; და რამთა მექმენს განმანათლებელ გონებისა და ვადილებდე, ქრისტე, სახიერებათა შენთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

პურისა ცხოვრებისა ტრაპეზო ყოვლადწმიდაო, მოწყალებათათვის ზეცით გარდამოსრულისა და ახლისა ცხოვრებისა სოფლისა მომნიჭებულად ღირსმყავ მეცა აწ, უღირსი, შიშით ამისსა გემოა-ხილვად, რამათა ვსცხონდე.

გალობამ 4.

ძლისპირი: მოხუცდ ჩუენდა ქალწულისაგან არა ანგლოსი, არამედ თვთ უფალი განკორციელებული ღმერთი, და მიქსენ ჩუენ ყოვლითურთ, რომელნი ვლადებთ დიდებასა ძალისა შენსასა.

გული წმიდამ დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა.

ინებე რა ჩუენთვის კორცთ-შესხმამ, მრავალმოწყალეო უფალო, შეიწირე ვითარცა ცხოვარი ცოდვათათვის კაცთამსა, ამისთვის ხოლო გვეედრები შენ, ჩემთაცა განქარებად შეცოდებათა.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

განკურნენ სულისა ჩემისა წყლულებანი, უფალო, და სრულიად განმწმიდე, და ღირს-მყავ, მეუფეო, ზიარებად საიდუმლოსა მას შენსა საღმრთოსა სერობასა უბადრუკი.

დიდება და ძესა და წმიდასა სულსა.

ვღვთ ყოველი უკუე შიშით და ძრწოლით, და მოწიწებით; თუაღნი სულისანი ზე გუაქუნდენ და მაცხოვარისა მიმართ ვკმობდეთ: დაგუამტიცენ და გულისკმეირ-გვეყენ ჩუენ, ღმერთო მოწყალეო, შიშსა შენსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მოწყალე-ჰყავ ჩემ ზედა სახიერი ძმ შენი, დედუფალო, და დამიცე მე შეუგინებლად და უბიწოდ მეედრებელი შენი, და უენებლად, რამათა შევიწყნარო გონიერი მარგარიტი და წმიდა ვიქმნე.

გალობამ 5.

ძლისპირი: ნათლისა მომცემელო და საუკუნეთა შემოქმედო უფალო, ნათელსა მცნებათა შენთასა დამამტიცენ ჩუენ, რამეთუ ჩუენ შენსა გარეშე, სახიერ, სხუა ღმერთი არა ვიცით.

გული წმიდამ დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა.

ვითარცა სთქუ პირველად, ქრისტე, იქმენ აწ ჩემთანა, მდაბლისა ამის მონისა შენისა, და ჩემთანა დაადგერ, ვითარცა აღმითქუ; რამეთუ, აჰა, ესერა ვჰამ კორცსა შენსა საღმრთოსა და ვსუამ სისხლსა შენსა.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

მძღავრისა მის, და შეითხინეს საკუშილსა მას, და შეკურუელნი
ესრეთ ღალადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო,
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული
წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა.

წყარო სახიერებისა არს ზიარება ქრისტე, უკუდავთა
შენთა საიდუმლოთა აწ უკუე მექმენინ მე წყარო სახიერებისა,
ნათელ უნებლობისა, და სათნოებისა მიმართ უწმიდესობა, და
წარმართებისა და აღმატების მონიჭება, მხოლოო სახიერო, რამთა
გადიდებდე.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა
შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

რამთა განვერნეთ ვნებათაგან და მტერთა, იწროებათა და
ყოველთაგან საღმობათაგან, შიშით, სიყვარულით და სურვილით,
კაცთმოყუარე, მოვივლტი აწ, შენისა მიმართ, უკუდავისა და
საღმრთოჲსა საიდუმლოჲსა, და გიგალობ შენ: კურთხეულ
ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

სულო ჩემო უბადრუკო, სულო ვნებულო, შეპრწუნდი
მხედველი საიდუმლოსა დიდებულსა; სულთქუმით ცრემლიოდე
მკერდსა ცემით, კმობდი და იტყოდე: ღმერთო, განმწმიდე მე,
ვითარცა მეძავი, ცოდვათა ჩემთაგან, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მაცხოვარი ქრისტე ჰმევე ზესთა ცნობისა, ღმრთით-
მიმადლებულო, გვედრები შენ, წმიდასა, მონაჲ შენი არაწმიდაჲ,
მნებებელი აწ ყოვლადწმიდათა მიმართ საიდუმლოთა
მიახლებად, განმწმიდე მე ყოვლისაგან შევინებისა კორცთა
და სულისა.

გალობაჲ 8.

ძღვისპირი: საკუშილად გარდამოსრულსა ყრმათა ებრაელ-
თათჳს ღმერთსა, რომელმან ცეცხლი ცუარად შესცვალა,
აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა, და
აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო. და სული
წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა.

წმიდისა ზეციერისა, და შესაძრწუნებელისა საიდუმლოჲსა,
და საღმრთოჲსა სერობისა საიდუმლოდ ზიარებისა ღირს-
მყავ აწ სასოწარკვეთილი ესე, ქრისტე ღმერთო, მაცხოვარო
ჩემო.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა
შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

მოწყალებისა შენისა მომართ მოვივლტი, სახიერ, და
კვმობ შიშით: ჩემთანა ევე, მაცხოვარ, და მე შენთანა, ვითარცა
სთქუე; რამთა ესერა მინდობითა წყალობათა შენთაჲთა, ვჰჳამ
კორცსა და ვსუამ სისხლსა შენსა.

ლიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვძრწი შეწყნარებად ცეცხლისა, ნუ უკუე შემწუას, ვითარცა ცკლი და ვითარცა თივამ; მ, საშინელი საიდუმლოდ, მ, მოწყალეობამ ღმრთისამ, თუ ვითარ საღმრთოსა კორცსა და სისხლსა მე, თიკამ ესე, ვეზიარო და უკუდავ ვიქმნე.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

საღმრთოდ პური ცხოვრებისამ საშოსა შენსა, ღმრთისა დელო, ჭეშმარიტად შეიცხო, და დაიცვა უნებელად, უბიწო; ამისთვისცა, ვითარცა მზრდელსა ჩუენსა გიგალობთ შენ ყოველინ, უკუნისამდე.

გალობამ 9.

ძღოსპირი: დაუსაბამოსაგან მამისა ძმ ღმრთისამ გამოჩნდა ქალწულისაგან, მკსნელად ჩუენდა განკორციელდა; განგუანათლებს დაბნელებულთა და შემოპკრებს ერთად განბნეულთა, რამათა სარწმუნოებით მშობელსა მისსა ვადიდებდეთ.

გული წმიდამ დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა.

განიცადეთ და იხილეთ, ქრისტე არს: უფალი, ჩუენტუს, მსგავს ჩუენდა, ქმნული მოვიდა და ერთ გზის თავი თვისი შესწირა, ვითარცა მსხუერპლი თვისისა მამისა, და მარადის დაიკლვის განწმედად მიძლებულთა მისთა.

ნუ განმავდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიძილებ ჩემგან.

სული ჩემი კორცთა თანა განსწმიდე, მეუფეო, და განანათლე შენ საღმრთოდ, რამათა იქმნას სახლ შენდა, და ზიარ იქმნას საიდუმლოთა შენთა, სიწმიდით ერთარსად მამისა და სულისა შენისა თანა, კეთილისმყოფელო და მრავალმოწყალეო.

ლიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვითარცა ცეცხლი მექმენინ მე, და ვითარცა ნათელი, კორცი შენი და სისხლი შენი უპატოხნესი, მაცხოვარო ჩემო, შემწუელ ცოდვათა ნივისა და დამწუელ ეკალს ვნებათსა, და ყოვლითურთ განმანათლე მე, თაყუანისმცემელი შენისა ღმრთეებისამ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ღმერთი განკორციელდა წმიდათა სისხლთა შენთაგან, რომლისათვისცა ყოველი ნათესავი გიგალობს შენ, დედუფალო, და სიმრავლმ გონიერთამ ვადიდებს, ვითარცა შენ მიერ ბრწყინვალედ მხილველინ ყოველთა მეუფისა, ბუნებითა კაცთამათა.

ღირს არს ჭეშმარიტად, რამათა ვადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა. უპატოხნესსა

ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგკწყალენ ჩუენ (3-ჯერ).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგკწყალენ ჩუენ; უფალო, გვკცხენ და გვუზხინე ცოდებათა ჩუენტაგან; მუფუეო, შეგუნდე უშჯულობანი ჩუენნი; წმიდაო მოიხილე და განკურნენ უძღურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგკწყალენ (3-ჯერ).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევამ შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისა მომეცე ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიკსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

ტროპარი დღისა ან დღესასწაულისა.* უკუეთუ არს ალილუია (ე.ი. მარხვა), ტროპარი ესე სამნი:

მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყვს-მიტევისაგან უღონო ვართ, გარნა ამას ვედრებას შენ, მუფუფისა სახიერისა, ცოდეილნი ესე შევსწირავთ: მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ; ნუ განძირისხდები ჩუენ ფრიად, ნუცა მოიხსენებ უშჯულობათა ჩუენთა, არამედ მოიხილე ჩუენზედა წყალობით, ვითარცა სახიერ ხარ, და გვკცხენ ჩუენ სამართლად რისხვისაგან შენისა; რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, და ჩუენ ვართ ერნი შენნი, ყოველივე ქმნულნი კელთა შენთანი ვართ, და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენზედა და შეგკწყალენ ჩუენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღმრთის-მშობელო, რადთა, რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგობთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა.

*ტროპარს ვიპოვით შესაბამისად: ა) თუ დიდი დღესასწაულია, განყოფილებაში „დიდი საეკლესიო დღესასწაულები და მათი ტროპარ-კონდაკნი“ (გვ.166), ბ) დღის წმიდანის ტროპარს ვიპოვით განყოფილებაში „სადიდებელ-საკედრებელი“ (გვ. 179), გ) თუ ზემოთ აღნიშნულ განყოფილებაში დღის ტროპარი არ აღმოჩნდა, მაშინ წავიკითხავთ ამ დღის წმიდანის საზოგადო ტროპარს გან-ყოფილებიდან „საზოგადო ტროპარ-კონდაკნი“ (გვ. 175)

უფალო შეგვწყალენ (40-გზის, და მეტანია რაოდენიცა გენებოს).

ლოცვა

უბიწო, შეუგინებელო, უხრწნელო, ღმრთისა სძალო დელუფალო, რომელმან დიდებულთა შობითა შენითა კაცნი ღმერთსა შეაერთენ და განგდებული ბუნებაჲ ნათესავისა ჩუენისა ზეცისა ძალთა შეაერთე, უსასოქმნილთა სასოებაო, ბრძოლვილთა შემწეო, განმზადებულო კელის-ამპყრობელო შენდა მოლტოლვილთაო და ყოველთა ქრისტიანეთა შესავდრებელო, ნუ მომიძაგებ მე ცოდვილსა ამას, რომელმან შეკრებითა ბილწებითა გულისთქუმათა, ყოველიურთ სიტყვთ და საქმით თავი ჩემი უცხო-ყავ, გემოთა და უღებუასა მეცნიერებით დავემონე, არამედ ვითარცა კაცთმოყუარე და დედა კაცთმოყუარისა ღმრთისა, მოწყალე იქმენ ჩემ უძღებსა და ცოდვილსა ზედა; შეიწირე შენ მწიკულევანთაგან ბაგეთა შეწირული ვედრებაჲ ჩემი, მკმეველმან ძისა შენისა მიმართ, მეუფისა და უფლისა ჩუენისა, დედობრივისა კადნიერებისამან, შეიწირე, რამთა განმბიჯნეს მე ნაწლევნი თვისისა სახიერებისა და კაცთმოყუარებისანი, და უგულვებელს-ჰყუნეს ჩემნი აურაცხელნი შეცოდებანი. მომაქციე მე სინანულად, და მცნებათა მისთა მუშაკად გამოცდილად გამომაჩინე მე. და მექმენ მე კეთილის-მოყუარე, მარადის თანალმობილ მოწყალე, და აწინდელსა ამას ცხოვრებასა მკურვალე ზედამდგომელ და შემწე, წინააღმდეგომთა ძალთა მოტებელ, და ცხოვრებისა მიმართ წარმმართველ, და ჟამსა განსლვისა ჩემისასა შეეწიე უბადრუკსა სულსა ჩემსა, და ბნელნი იგი პირნი ბოროტთა ეშმაკთანი შორს განიოტენ ჩემგან, ხოლო საშინელსა მას

დღესა განკითხვასა, საუკუნესა სასჯელისაგან მიკუნენ, და გამოუთქუმელსა მას დიდებასა ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისასა მკედრად გამომაჩინე, რომლისა მი-მცა-მთხუეულ ვართ, დელუფალო, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, შეწვენითა შენითა და შუამდგომელობითა შენითა, მადლითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდშობილისა ძისა შენისა, უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელსა შეუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემამ თანა მამით და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვთ ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

ფსალმუნი 22-ე

უფალმან მმწყსოს მე და მე არაჲ მაკლდეს. ადგილსა მწუანვილსა მუნ დამაძკვარა მე; წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამომზარდა მე. მოაქცია სული ჩემი და მიძლოდა მე გზათა სიმაღლისათა სახელისა მისისათეს. ვიდოდილათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემთანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან – ამთ ნუგემინის-მცეს მე. განჰზადე წინაშე ჩემსა ტაბლად წინაშე მაჭირვებელთა ჩემთა; განაპოხე ზეთითა თავი ჩემი და სასუმელმან შენმან დამათრო მე,

ვითარცა ურწყულმან. წყალობამ შენი, უფალო, თანამაკალ
მეყავ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, დამკვდრებად
ჩემდა სახლსა უფლისასა, განგრძობასა დღეთასა.

ფსალმუნი 23-ე

უფლისად არს ქუეყანად და სავსებად მისი, სოფელი და
ყოველნი დამკვდრებულნი მას შინა. რამეთუ მან თავადმან
ზღუათა ზედა დააფუძნა იგი და მდინარეთა ზედა განჰმზადა
იგი. ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა ანუ ვინ დადგეს ადგილსა
წმიდასა მისსა? უბრალოდ კელითა და წმიდამ გულითა,
რომელმან არა აიღო ამარობასა ზედა სული თვისი და არცა
ეფუცა ზაკუევით მოყუასსა თვისსა. ამან მოიღოს კურთხევა
უფლისაგან და წყალობად ღმრთისაგან მაცხოვრისა მისისა.
ესე არს ნათესავი, რომელი ეძიებს უფალსა, ეძიებს ხილუად
პირსა ღმრთისა იაკობისსა. აღახუნით ბჭენი თქუენნი, მთავარნო,
და აღეხუნით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს მეუფს დიდებისად.
ვინ არს ესე, მეუფს დიდებისად? უფალი ძლიერი და მტკიცე,
უფალი ძლიერი ბრძოლასა შინა. აღახუნით ბჭენი თქუენნი,
მთავარნო, და აღეხუნით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს
მეუფს დიდებისად. ვინ არს ესე, მეუფს დიდებისად? უფალი
ძალთად, თავადი არს მეუფს დიდებისად.

ფსალმუნი 115-ე

მრწმენა მე, რომლისათვისცა ვიტყოდე, ხოლო მე დაემდაბ-
ლდი ფრიად. და ვთქუ განკურვებასა ჩემსა, რამეთუ: ყოველი
კაცი ცრუ არს. რამ მივაგო უფალსა ყოვლისავეთვს, რომელი
მომავო მე? სასუმელი ცხოვრებისად მოვილო და სახელსა



უფლისასა ვხადო. ლოცვანი ჩემნი უფალსა მივსცნე წინაშე
ყოვლისა ერისა მისისა. პატიოსან არს წინაშე უფლისა
სიკუდილი წმიდათა მისთა. მ, უფალო, მე მონად შენი, მე
მონად შენი და მე მკველისა შენისა; განჰხუთქენ საკრველნი
ჩემნი. შენდა შევწირო მსხუერპლი ქებისად და სახელსა
უფლისასა ვხადო. ლოცვანი ჩემნი უფალსა მივსცნე წინაშე
ყოვლისა ერისა მისისა. ეზოთა სახლისა უფლისათა, შორის
შენსა, იერუსალემ.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებამ შენდა ღმერთო
(მეტანია).

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებამ შენდა ღმერთო
(მეტანია).

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებამ შენდა ღმერთო
ჩუენო, დიდებამ შენდა (მეტანია).

ტროპარი, ჴმად 3.

უშჯულოებანი ჩემნი უგულებელს-ყუენ, უფალო,
ქალწულისაგან შობილო, და გული ჩემი განწმიდე, და ტადარ-
ჰყავ იგი უზრწნელისა კორცისა და სისხლისა შენისა, ნუ
განმაგდებ მე პირისა შენისაგან, მხოლოო რომელსა გაქუს
განუზომელი წყალობად.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ზიარებად სიწმიდეთა შენთა ვითარ ვიკადრო არა ღირსმან,
ხოლო უკუეთუ ვიკადრო შენდა წარმოდგომად ღირსთა თანა,

სამოსელი ჩემი მამხილებს, რამეთუ არა არს სერობისაჲ და დასჯილებასა შევიძინ მრავალმცოდველისა სულისა ჩემისა. განწმიდე, უფალო, მწიკული სულისა ჩემისა და მაცხოვრე მე ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

აურაცხელ არიან სიმრავლენი ცოდვათა ჩემთანი, წმიდაო ღმრთისმშობელო, შენდა მოვივლტი, ქალწულო უბიწოო, და ვითხოვ ცხონებასა. მოხედენ უძღურებასა ზედა სულისა ჩემისასა. ევედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩუენსა, მოტეგებად ურიცხუთა მათ ბრალთა ჩემთა, მხოლოო კურთხეულო.

ხოლო დიდსა მარხვასა შინა ტროპარი ესე:

ტროპარი, კმაჲ 7.

რაჟამს დიდებულნი მოწყაფენი საბანელსა მას სერობისასა განათლდებოდეს, მაშინ უშჯულოთა და ვეცხლისმოყუარებისა სენითა დაბნელდებოდა და უშჯულოთა მსაჯულთა შენ, მართალსა მსაჯულსა, მიგცემდა. იხილეთ, მ, მორწმუნენო, ტრფიალი იგი ვეცხლისა, რომელმან მისთვის შიშთკლიბა. და ივლტოდე უძღებისა მისგან სენისა, რომელმან მოძღუარსა თვისსა ზედა ესე ვითარი იკადრა, არამედ რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, კაცთმოყუარე, დიდებაჲ შენდა.

უფალო, შეგვწყალებ (40-ე ზის, და მეტანია რაოდენიცა ვენებოს).


და მუხლი ესე:

ოდეს გენებოს ჳორცი სამეუფოჲ მიღებად მ, კაცო, შიშით მიეახლე რათა არა დაიწუა, რამეთუ ცეცხლი არს. და რაჟამს გენებოს შესუმაღ სისხლი საღმრთოჲ და შერთუაჲ მისთანა, დაეგე პირველ მაწუხებელთა შენთა. და ესრეთ სასოებით მივედ ჳამად, საიდუმლომსა მის. უწინარეს საშინელი მსხუერპლის, ცხოველსმოყოფელი სამეუფო ჳორცის ზიარებისა, ამგვარად ილოცე შიშით და კრძალვით:

ლოცვაჲ წმიდისა ბასილი დიდისაჲ, 1

მეუფეო, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, წყაროო ცხოვრებისა და უკუდავებისაო, ყოვლისა დაბადებულისა, ხილულისა და უხილავისა შემოქმედო, დაუსაბამომსა მამისა თანასამარადისოო ძეო და თანადაუსაბამოო, რომელმან მრავლისა სახიერებისათვის უკუანაძსკნელთა დღეთა ჳორცნი შეიმოსენ და ჯუარს-ეკუ, და დაიკალ ჩუენ უმაღლოთა და ძკრის-მოქმედთათვის, და თვისითა სისხლითა განაახლე გაკრწინილი ცოდვითა ბუნებაჲ ჩუენი. თვთ შენ, უკუდაო მეუფეო, შეიწირე ჩემ ცოდვილისა სინანული და მოყავ ყური შენი ჩემდა, და ისმინე სიტყუათა ჩემთა: რამეთუ ვცოდე, უფალო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არა ვარ ღირს ახილვად სიმაღლედ მიმართ დიდებისა შენისა: რამეთუ განვარისხე სახიერებაჲ შენი, და მცნებათა შენთა გარდავჳკვედ, არცა ვისმინე ბრძანებათა შენთაჲ. არამედ შენ, უფალო, რომელი ძკრუჳსენებელ ხარ, სულგრძელ და მრავალ მოწყალებ, არა მიმეც მე წარწყმედად უშჯულოებათა შინა ჩემთა, მარადის

მომლოდემან ჩემისა მოქცევისამან. რამეთუ შენ სთქუ, კაცთმოყუარეო, წინამწარმეტყუელისა შენისა მიერ ვითარმდე: “ნებსით არა მნებავს სიკუდილი ცოდევისამ, არამედ მოქცევამ და ცხოვრებამ მისი“. რამეთუ არა გნებავს, მეუფეო, კელთა შენტა დაბადებულისა წარწყმედად და არცა ვინავს წარწყმედად კაცთამ, არამედ გნებავს ყოველთა ცხოვრებამ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვამ. ამისთვის მეცა, დადაცათუ არა ღირს-ვარ ცასა და ქუეყანასა და ამასცა საწუთოსა ცხოვრებასა, ყოვლითურთ თავი ჩემი დავამორჩილე ცოდვასა, და გემოთა დავემონე, და ხატი შენი უკმარ-ვყავ; არამედ ვინამთგან ქმნული და დაბადებული შენი ვარ, არა სასოწარკუთილ ვარ თვისსა ცხოვრებასა საწყალობელი, არამედ აურაცხელისა მოწყალებისა შენისა მომართ კადნიერად მოვალ. შემიწყნარე უკუე მეცა, კაცთმოყუარეო უფალო, ვითარცა მებავი, ვითარცა ავაზაკი, ვითარცა მეზურეს ღა ვითარცა უძღები, და აღილე ტურთი მძიმეს ცოდვათა ჩემთამ, რომელმან აღიხუენ ცოდვანი სოფლისანი და უძღურებანი კაცთანი განჰკურნენ, და მაშურალთა და ტურთმძიმეთა შენდა მოუწოდე განსუენებად, რომელი არა მოხუედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად. განმწმიდე მე ყოვლისაგან შეგინებისა ჯორცთა და სულისა და მასწავე მე სრულყოფად სიწმიდისა შიშითა შენითა, რამთა წმიდითა მოწამებითა სუნდისისა ჩემისამთა სიწმიდითა შენთა ნაწილისა შემწყნარებელი, შევერთო წმიდასა ჯორცსა შენსა და სისხლსა, და მაქუნდე შენ დამკვდრებულად, და ეგო ჩემ შორის თანა მამით და სულით შენით წმიდითურთ. ჰე, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, რამთა არა სასჯელ მექმნეს მე ზიარება ყოვლადწმიდათა და ცხოველსმყოფელთა



საიდუმლოთა შენთა, ნუცა უძღურ ვიქმნე სულით და ჯორცით, რომელთაცა უღირსად ვეზიარები, არამედ მომეც მე, ვიდრე უკუნამსკენელ აღმოუშენვად ჩემდამდე, დაუსჯელად მოღებად ნაწილი სიწმიდეთა შენთამ, სულისა წმიდისა ზიარებად, საგზლად ცხოვრებისა საუკუნომსა და კეთილ-მითუალულ სიტყვს-საგებულ წინაშე სამინელსა სამსჯავროსა შენსა: რამთა მეცა ყოველთა რჩეულთა შენთა თანა, ზიარ ვიქმნე უხრწნელთა კეთილთა შენთა, რომელი განუმზადე მოყუარეთა შენთა, უფალო, რომელი მათთანა დიდებულ ხარ უკუნისამდე. ამინ.

ლოცვამ წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისამ, 2

უფალო ღმერთო ჩემო, ვუწვი, რამეთუ არა ვარ ღირს, არცა კმა, რამთა სართულსა ქუეშე სახლსა სულისა ჩემისასა შემოხვიდე, ამისთვისცა, რამეთუ სრულიად ოკერ და დაცემულ არს, და არა გაქუს ჩემ შორის ადგილი ღირსი, სადა თავი მიიდრიკო; არამედ ვითარცა მალლით დაიმდაბლე თავი შენი ჩუენთვის, აწცა მითუალე სიმდაბლეს ჩემი; და ვითარცა თავს იდეე ქუახსა შინა შობა და ბავასა უსიტყუთასა მიწვენამ, ეგრეთვე ღირს-იჩინე ბავასა უსიტყუსა სულისა ჩემისასა, და შეგინებულთა ჯორცთა ჩემთა შემოსლვად. და ვითარცა არა უღირს-იჩინე შესლვად და სერობად ცოდვილთა თანა სახლსა სიმეონ კეთროვანისასა, ეგრეთვე სათნო-იყავ შემოსლვად სახლსა მდაბლისა სულისა ჩემისასა, კეთროვანსა და ცოდვილსა; და ვითარცა არა განაგდე მსგავსად ჩემსა მებავი და ცოდვილი, მოსრული და შემხებელი შენდა, ეგრეთვე


შემიწყალე მეცა ცოდვილი, მოსრული და შემხებელი შენი; და ვითარცა არა მოიძაგე მწიკულევანი იგი პირი მისი და არაწმიდა, ამბორისყოფელი შენი, ნუმცა ჩემსა მოიძაგებ უმწიკულევანესსა მისსა პირსა და უარაწმიდესსა, ნუმცა საძაგელთა და არა-წმიდათა ბაგეთა, და შეგინებულსა და უარაწმიდესსა ენასა ჩემსა. არამედ მეყავნ მე ნაკუერცხალი ყოვლადწმიდისა ჳორცისა და პატიოსნისა სისხლისა შენისა, განმწმედელ და განმანათლებელ, და განმაძტიციებელ მდაბლისა სულისა და ჳორცთა, და აღმასუბუქებელ სიმძიმისა მრავალთა ცოდვთა ჩემთათა, და საკოდ ყოვლისა საეშმაკომსა მოქმედებისა, საძლეველ და შესაბრკოლებელ ძვრთა და ბოროტთა ჩვეულებათა ჩემთა, მომაკუდინებელ ვნებათა, დაცკად მცნებათა შენთა, შემატებად საღმრთოისა მადლისა შენისა და თვსებად სუფევისა შენისა. არა ვითარცა შეურაცხის-ყოფელი მოვალ შენდა, ქრისტე ღმერთო, არამედ ვითარცა მინდობილი გამოუთქმელსა სახიერებასა შენსა, რამთა არა, მრავალჟამ განშორებული ზიარებისა შენისა, სანადიროდ ვიქმენ გონიერისა მგელისა; ამისთვის გვედრები შენ: რამეთუ მხოლოდ ოდენ წმიდა ხარ, მეუფეო, განწმიდე სული ჩემი და ჳორცნი, გონება და გული, თირკუმელნი და ნაწლევნი, და ყოვლითურთ განმახლე მე, და დაჰნერგე შიში შენი ასოთა შინა ჩემთა, და სიწმიდს შენი მოუკლებელ-ყავ ჩემგან; და მექმენ შემწე და ჳელის-ამპრობელ, წარჰმართე მშუკობასა შინა ცხოვრება ჩემი, და ღირს-მყავ მე მარჯუენით დგომად წმიდათა შენთა თანა, ოხითა და ვედრებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა შენისადა, უსხეულოთა მსახურთა და უხრწნელთა ძალთა, და ყოველთა წმიდათა, საუკუნითგან სათნო-ყოფილთა შენთადა. ამინ.

მხოლოდ წმიდაო და უბნოო უფალო, რომელმან გამოუთქმელითა წყალობითა კაცთმოყუარეობისადათა ყოვლითურთ მიიღე თბს ჩუენი, წმიდათა და ქალწულებრივთა სისხლთაგან, და იშვე შენ ზესთა ბუნებისა, მოსლვითა საღმრთოისა სულისადათა და სათნო-ყოფითა სამარადისოდათა მამისადათა, ქრისტე იესო, სიბრძნეო ღმრთისაო, მშუკობაო და ძალო; რომელმან სიმდაბლითა შენითა ცხოველსყოფელი და საცხოვრებელი ვნება შეიწყნარე, ჯუარი, სამსჭუალნი, და საცხოვრებელი ვნება შეიწყნარე, ჯუარი, სამსჭუალნი, ლახუარი და სიკუდილი, მოაკუდინენ სულისადა ჩემისა განმკრწნელნი ჳორცთა ვნებანი. რომელმან დაფლვითა შენითა ჯოჯოხეთისა მეუფება წარმოსტყუენე, დაფლენ კეთილისა გულისსიტყვსა მიერ ჩემნიცა ბოროტნი გულისზრახვანი და ბოროტნი სულნი განაქარუენ. რომელმან მესამისა დღისა ცხოვრება-შემოსილითა აღდგომითა შენითა პირველი მამად აღადგინე დაცემული, აღმადგინე მეცა, ცოდვისა მიერ შებრკოლებული, სინანულისა სახის დადებითა. რომელმან დიდებულისა ამაღლებითა შენითა განაღმრთე ჳორცი, რომელი მიიღე და რომელსა მარჯუენით მამისა ჯდომითა პატივეც, ღირს-მყავ მეცა ზიარებითა წმიდისა შენისა საიდუმლოისადათა, მარჯუენით ნაწილს ცხონებულთასა მიმთხუეკად. რომელმან მოსლვითა ნუგეშინისმცემელისა სულისა შენისადათა ჳურჭელ-პატიოსან ჰყუნ საზღუდლონი მოწაენი შენნი, მეცა მოსლვისა მისისა შემწყნარებულად გამომაჩინე. რომელსა გვეულებების კუალად მოსლვად განკითხვად სოფლისა სიმართლით, სათნო-

მიყავ მეცა, რამათა მიგეგებო ღრუბლითა, და მბადებელსა და შემოქმედსა ჩემსა, ყოველთა წმიდათა შენთა თანა, რამათა მოუკლებელად დიდების-გმეტყუელებდე და გიგალობდე შენ, თანა დაუსაბამოთ მამით შენით და ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვამ მისივე, 4

ვითარცა საშინელისა და პირუთუნელისა სამსჯავროსა შინისა წინაშე მდგომარე, ქრისტე ღმერთო, დასჯისა მიძლევი, და სიტყვსგებად ბოროტთა საქმეთა ჩემთათვის, ეგრეთ დღეს პირველ მოწევნამდე დღისა მის დასჯისა ჩემისასა, წმიდისა საკურთხეველისა მიმართ მდგომარე ვარ წინაშე შენსა, და წინაშე საშინელთა და წმიდათა ანგელოსთა შენთა, დასჯილი თვისისა სჯინდისისაგან, მოვიხუამ ბოროტთა და უშჯულოებისა ჩემისა საქმეთა, განვაცხადებ მათ და განვაქიქებ. იხილე, უფალო, სიმდაბლს ჩემი და მომიტევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი. იხილე, რამეთუ განმრავლდეს უფრომს თმათა თავისა ჩემისამათა უშჯულოებანი ჩემნი, რომელი უკუე ბოროტი არა ვქმენ, რომელი ცოდვამ არა ვყავ, რომელი ძკრი არა გამოვისახე სულსა შინა ჩემსა, ხოლო საქითაცა ვქმენ სიძეამ, მრუშებამ, ამპარტაუნებამ, ზუაობამ, ფიცვი, გმობამ, უქმისმეტყუელებამ, სიცილი უჯერომ, მივრალობამ, ნაყროვანებამ, უძღებებამ, სიძულვილი, შური, ვეცხლისმოყუარებამ, სკმართმოყუარებამ, ანგარებამ, თავისმოყუარებამ, დიდებისმოყუარებამ, ტაცებამ, უსამართლობამ, საძაგლისშეძინებამ, კდომამ, წყევამ,



უშჯულოებამ. ყოველნი საცნობელნი ჩემნი და ყოველნი ასონი შევაგინენ, განვკრწნენ, უკმარ-ვეყუნ, და ყოვლითურთ საფარდულ ეშმაკთა ვიქმენ. და უწყვი, უფალო, რამეთუ უშჯულოებანი აღმატნენ თავსა ჩემსა, არამედ აურაცხელ არს სიმრავლს მოწყალებათა შენთამა, და წყალობა გამოუთქმელისა ძკრ-უკსენებლობისა შენისა სახიერებამ. და არა არს ცოდვამ, მძიმს კაცთმოყუარებისა შენისამ. ამითესცა, ყოვლადსაკრველო მეუფეო, ძკრუკსენებლო უფალო, საკრველ-ყავ წყალობამ შენი ჩემ ცოდვილსა ზედა. მიჩუნე ძალი სიტკბოებისა შენისამ, და გამომიცხადე სიმტკიცს კეთილნაწილებისა შენისამ, და შემიწყნარე მე ცოდვილი მოქცეული, ვითარცა შეიწყნარე უძღები, ავაზაკი და მეძავი, შემიწყნარე მეცა, რომელმან უზომოდ ვცოდე შენდამი სიტყვით და საქმით, და გულისთქმითა უჯეროთა, და გულისსიტყვითა უსიტყუოთა. და ვითარცა მეათერთმეტისა ჟამისა მოსრულნი შეიწყნარენ, რომელთა ვერარამ ღირსი სასყიდლისამ იმოქმედეს, ეგრეთ შემიწყნარე მეცა ცოდვილი, რამეთუ ფრიად ვცოდე, და შევიგინე, და შევაწუხე სული შენი წმიდაამ, და განვაძწარენ კაცთმოყუარენი ნაწლევნი შენნი, და საქმით, და სიტყვით, და გონებით, ღამესა შინა და დღესა შინა, ცხადად და დაფარულად, ნებსით და უნებლიედ. და უწყვი, რამეთუ წარმოადგენ ცოდვათა ჩემთა ჩემ წინაშე ეგვეითართა, რომელნი იქმენ ჩემ მიერ, და მიძქდი სიტყუასა მათთვის, რომელნიცა მეცნიერებით ვცოდე შეუნდობლად. არამედ, უფალო, უფალო, რამათა არა მართლითა მსჯავროთა შენითა, არცა გულისწყრომითა შენითა მამხილო მე. მიწყალე მე, უფალო, რამათა არათუ ხოლო ოდენ უძღურ ვარ, არამედ დაბადებული შენი ვარ. შენ უკუე, უფალო,

დაამტკიცე ჩემ შორის შიში შენი, ხოლო მე ბოროტი შენ
წინაშე ვყავ. შენ მხოლოსა შეგცოდე. არამედ გევედრები, ნუ
შეხუალ სასჯელსა მონისა შენისა თანა. რამთა უკუეთუ
უშჯულობათებრ მომაგებდე, უფალო, უფალო, ვინმე დავითმოს,
რამეთუ მე ვარ უფსკრული ცოდვათა და არა ვარ ღირს,
არცა კმა აღზილვად და ხილვად სიმაღლესა ცისასა,
სიმრავლისაგან ცოდვათა ჩემთამსა, რომელთა და არა არს
რიცხვ, რამეთუ ყოველი ბოროტისმეტყუელებად და ხე-
ლოვნებად საეშმაკოდ, და განმკრწწელობად, კლამად, ჩუკუნობად,
წულთმკრწწელობად, ძურისკსენებად, წურთად ცოდვისა მიმართ
უსიტყუებად, და სხუანი რიცხვთ ბევრნი ვნებანი არა მოაკლდეს
ჩემგან; რამეთუ რომლითა ცოდვითა არა განვიკრწენ, რომლითა
ბოროტითა არა შევიპყარ? ყოველი ცოდვად ვქმენ, ყოველი
არაწმიდებად დავისახე სულსა შინა ჩემსა, უკმარ ვიქმენ შენ,
ღმრთისა ჩემისა, და კაცთა. ვინ აღმადგინოს მე ესევითართა
ბოროტთაგან, ესე ვითარად დაცემული შეცოდებითა? უფალო
ღმერთო ჩემო, შენ გესავ, უკუეთუ არსლა ჩემდა სასოებად
ცხოვრებისად. სძლოს კაცთმოყარებად შენგან სიმრავლესა
უშჯულოებათა ჩემთასა. მეყავნ მე, მაცხოვარ, და
მოწყალებისაგებ შენისა და წყალობისაგებ შენისა მილხინე,
მომიტყევე, შემინდევე მე ყოველი, რაოდენი გცოდე შენ, რამეთუ
მრავლითა ბოროტითა აღივსო სული ჩემი, და არა არს ჩემ
შორის სასოებად ცხოვრებისად. მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა
წყალობითა შენითა, და ნუ მომიძაგებ მე საქმეთაგებ ჩემთა,
და ნუ დამსჯი მე მოქმედებათაგებ ჩემთა, არამედ მომაქციე,
შემეწიე და იცისნ სული ჩემი შემთხუევათაგან მათ ბოროტთა

და ძურთა ცთომათაგან. მაცხოვრე მე წყალობისა შენისათვის,
რამთა სადაცა განმრავლდეს ცოდვად, მუნ უფროს გარდაემატოს
მადლი შენი. და გაქებდე, და გადილებდე შენ ყოვლადვე
ყოველთა ღმერთა ცხოვრებისა ჩემისადათა. რამეთუ შენ ხარ
ღმერთი მონანულთა და მაცხოვარი შეცოდებულთა, და
შენდა დიდებასა აღუავლენთ, თანა დაუსაბამოთ მამით შენით
და ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველს-ყოფელით
სულით შენით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი
უკუნისამდე. ამინ.

*ლოცვაი წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე
დამასკელისა, 5*

მეუფეო, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელსა
მხოლოსა გაქუს კელმწიფებად კაცთა ცოდვათა მოტევებისა,
ვითარცა სახიერმან და კაცთმოყარემან, უგულუბელს-ყუენ
ყოველნი შეცოდებანი ჩემნი მეცნიერებითნი და უმეცრებითნი,
და ღირს-მყავ მე დაუსჯელად ზიარებად საღმრთოთა და
დიდებულთა, და უხრწნელთა და ცხოველსყოფელთა
საიდუმლოთა შენთა, ნუცა სატანჯველად, ნუცა დასართუელად
ცოდვათა, არამედ სალხინებულად და წმიდამყოფელად და
წინდად მერმისა ცხოვრებისა და სუფევისა, და ზღუდედ და
შემწედ, და საძლეველ წინააღმდეგომთა და აღსაკოცელ
მრავალთა შეცოდებათა ჩემთა. რამეთუ შენ ხარ ღმერთი
წყალობისა და მოწყალებისა, და კაცთმოყარებისა, და შენდა
დიდებასა აღუავლენთ, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

უწყი, უფალო, რამეთუ უდირსად მოვიდებ უხრწნელსა კორცსა შენსა და პატიოსანსა სისხლსა შენსა, და თანამდებ ვარ დასასჯელად თავისა ჩემისა, ვჰამ და ვსუამ, ვერ განმკითხუელი კორცისა და სისხლისა შენ კრისტესა და ღმრთისა ჩემისაჲ; არამედ წყალობისა შენისა მიერ კაღნიერად მოვალ შენისა მომართ მეტყუელისა: რომელი ჰამდეს კორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, ჩემ შორის ჰკიეს და მე მის შორის. მოწყალე იქმენ უკუე, უფალო, და ნუ მამზილებ მე ცოდვილსა, არამედ ყავ ჩემთანა წყალობისაებრ შენისა; რამთა მექმნას მე წმიდაჲ ესე საკურნებელ, და განმწმედელ, და განმანათლებელ, და მცველად, და მაცხოვრად, და წმიდამყოფელად სულისა და კორცთაჲ; საძლეველ ყოვლისა საოცრებისა და ბოროტისმოქმედებისა, და საქმისა საეშმაკომსა, საცნაურად, ასოთა შინა ჩემთა მოქმედებულისა, კაღნიერებად და სიყუარულად შენდა, წარსამართებელად ცხოვრებისა უცთომელად, აღმატებად სათნოებისა და სისრულისა, აღსრულებად მცნებათა, სულისა წმიდისა ზიარებად, საეზლად ცხოვრებისა საუკუნომსა, სიტყვისსაგებელად კეთილმითუალულად საშინელსა საყდარსა შენსა; ნუ სასჯელად, ნუცა დასასჯელად.

ლოცვა წმიდის სიმეონ ახლისა ღვთისმეტყუელისაჲ, 7

შეგინებულთაგან ბაგეთა, საძაგელისაგან გულისა, არაწმიდისაგან ენისა, სულისაგან შემწიკულებულისა, შეწირე



ვედრებაჲ ჩემი, კრისტე ჩემო, და ნუ უგულუბელს-ჰყოფ ნუცა სიტყუათა, ნუცა სახეთა, ნუცა ურცხვნობათა. მოჩეც კაღნიერებით სიტყუად, რომელიცა მნებავს, კრისტე ჩემო, უფრომსლა მასწავე მე, რაჲ ვერ არს ჩემდა ქმნად და სიტყუად. ვცოდე უფრომს მებავისა, რომელმან ცნა, თუ სადა იყოფვი, მოიყიდა მირონი და მოვიდა კაღნიერებით ცხებად ფერკთა შენთა, კრისტეს ჩემისა, მეუფისა და ღმრთისა. ვითარცა იგი არა განსდევნე მოსრული გულითა, ნუცა მე მომიძაგებ, სიტყუაო; ფერკნი შენნი მომცენ დაპყრობად, და ამბორისყოფად და მღინართა ცრემლითა, ვითარცა მრავალ სასყიდლითა მირონითა, კაღნიერებით ცხებად მათდა. განმბანე მე ცრემლითა ჩემითა, განმწმინდე მე ამით, სიტყუაო. მომიტევენ მე შეცოდებანი ჩემნი, და მომბადლე მე შენდობაჲ. უწყი ბოროტთა სიმრავლს, და უწყი წყლულულებანიცა ჩემნი, და სენთა ჩემთა ჰხედავ, არამედ სარწმუნებაცა უწყი და წადიერებასა ჰხედავ და სულთთქუმათა ისმენ. არა დაგეფარვის შენ, ღმერთო ჩემო, შემოქმედო ჩემო, მკსნელო ჩემო, არცა ცუარნი ცრემლთანი, არცა ცუართა ნაწილი რამე. რომელნი არა მექმნეს მე, იხილეს თუალთა შენთა, და წიფნსა შენსა ყოველივე შთაიწერნეს. იხილე სიმდაბლს ჩემი, იხილე შრომაჲ ჩემი რაოდენ, და ცოდვანი ყოველნი მომიტევენ მე, ღმერთო, რამთა განწმედილითა გულითა, მძრწოლვარითა გონებითა და სულითა შემუსრკლითა უხრწნელთა და ყოვლადწმიდათა შენთა საიდუმლოთა ვეზიარო, რომლითა განცხოველდების და განღმრთების ყოველი მჰჰამელი და მსუმელი გულითა წმიდითა, რამეთუ შენ სთქუ, მეუფეო ჩემო: „ყოველი მჰჰამელი კორცისა ჩემისაჲ და მსუმელი

სისხლის ჩემისაჲ, ჩემთანა ჰვიეს და მე მის თანა.“ ჭეშმარიტ არს ყოვლადვე სიტყუაჲ მუფუისაჲ და ღმრთისა ჩემისაჲ. ხოლო საღმრთოთა და ღმერთ-მყოფელთა მადლთა მიმთხუეული არა თავით თვისით ვარ, არამედ შენ მიერ, ქრისტე ჩემო, ნათლითა სამ-ბრწყინვალითა განმანათლებელო სოფლისაო, რადთა არა მხოლოდ ვიყო თუნეირ შენსა, ცხოვრების-მომცემელისა, სულითქუმისა ჩემისა, ცხოვრებისა ჩემისა, სოფლის მაცხოვარისა. ამისთვის შენდა მოსრულ ვარ, ვითარცა ჰხედავ, ცრემლითა და სულითა შემუსრვილითა. დაკსნასა შეცოდებათასა ვითხოვ მოღებად ჩემდა, და შენთა ცხოვრების-მომცემელთა და უბიწოთა საიდუმლოთა დაუსჯელად ზიარებად, რადთა დაადგრე, ვითარცა სიტქუ, ჩემთანა სამგზის საწყალობელისა, რადთა არა, თუნეირ მადლისა შენისა, მპოვოს მე მზაკუვარმან მან და წარმიტაცოს მე ზაკუვეით, მაცთუნოს და განმაშოროს ღმერთ-მყოფელთა სიტყუათა შენთა. ამისთვის შევიგრძები და მკურვალედ გიკმობ შენ, ვითარცა უძღები შეიწყნარე და მეძავი, მოსრული შენდა, ეგრეთ შემეწყნარე მეცა მეძავი და უძღები, მოწყალო. სულითა შემუსრვილითა აწ მომავალი შენდა. უწყი, მაცხოვარო, რამეთუ სხუამან არავინ შეეცოდა, ვითარცა მე, არცა ქმნა საქმც, რომელ მე ვქმენ. არამედ ესე უწყი, ვითარმედ არცა სიდიდც შეცოდებათაჲ, არცა ცოდვათა სიმრავლც აღუმატების ღმრთისა ჩემისა მრავალსა სულგრძელებასა და კაცთ-მოყუარებასა; არამედ წყალობითა და თანა-ღმობითა მკურვალედ შემანებელთა განსწმედ, და განაბრწყინებ და ნათელ-ჰყოფ ზიარებითა. ზიარად ღმრთეებისა შენისა იქმ მათ უშურველად

და უცხოდ ანგელოსთა და კაცთა ცნობისა, თანაექცევი მათ მრავალგზის, ვითარცა მოყუარეთა შენთა საკუთართა. ესენი კანნიერ-მყოფენ მე, ესენი ფრთოვან მყოფენ, ქრისტე ჩემო. და ვესავ სიმდიდრესა ქუელისმოქმედებისა შენისასა ჩემდა მომართ, მოხარული და შეძრწუნებული. ერთბამად ცეცხლსა ვეზიარები თივამ ესე და უცხოდ საკურველი შევიცურები გამოუთქუმელად, ვითარ უკუე მაყუალი ძუელად შეუწუელად მგზნებარც. აწ მადლობისა ცნობით, მადლობისა გულით, მადლობისა ასოდთ, და სულითა კორცითა ჩემითა, თაყუანის-გცემ და გადიდებ, და დიდების-გმეტყუილებ, ღმერთო ჩემო, რამეთუ კურთხეულ ხარ აწ და უკუნისამდე. ამინ.

ლოცვაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ, 8

ღმერთო, მილხინე, მომიტევე, შემინდუნ მე შეცოდებანი ჩემნი, რაოდენიცა გცოდე შენ საქმით, ანუ სიტყვით, ანუ გონებით, ნებსით ანუ უნებლიეთ, ცნობით ანუ უმეცრებით, ყოველივე შემინდევ, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყუარემან, მოხებითა ყოვლადუხარწნელისა დედისა შენისადა, გონიერთა შენთა მსახურთა და წმიდათა ძალთადათა, და ყოველთა წმიდათა საუკუნითგან სათნოყოფილთა შენთადათა, დაუსჯელად სათნომიყვ მე შეწენარებად წმიდასა და უხარწნელსა კორცსა შენსა და პატოსანსა სისხლსა შენსა, საკურნებელად სულისა და კორცთა და აღსაკოცელად ბოროტთა გულის-სიტყუათა ჩემთა. რამეთუ შენი არს სუფევად და ძალი, და დიდებად, მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, აწ და მარადის და უკუნიით უკუნისამდე. ამინ.

ლოცვამ მისივე, 9

არა ვარ კმა, მეუფეო უფალო, რამათა შემოხვდე სართულსა ქუეშე სულისა ჩემისასა; არამედ უფრომსდა ინებე შენ, ვითარცა კაცთმოყუარებან, დამკვდრებად ჩემ-შორის, კადნიერებით მოვალ; ჰბრძანე, რამათა განმელოს კარი, რომელი მხოლომ დამბადებელი ხარ, და შემოხვიდე, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ, შემოვდე უკუე და განანათლე დაბნელებული გონებამ ჩემი. მრწამს, ვითარმედ ესე ჰყო, რამეთუ მეძავი, ცრემლით მოსრული, არა განსდევნე, არცა ავაზაკი განაძე, რომელმან იცნა მეუფებამ შენი, არცა რომელი მღევარ იყო დაუტყვე, შეინანა რამ, არამედ სინანულით მოსრულნი შენდა ყოველნი გუნდსა მოყუარეთა შენთასა დააწესენ, რომელი მხოლომ კურთხეულ ხარ ყოვლადვე, აწ და დაუსრულებელთა საუკუნეთა. ამინ.

ლოცვამ მისივე, 10

უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, მიღხინე, მომიტყევე, შემიწყალე და შემინდევე მე ცოდვილსა, და უკმარსა, და უღირსსა მონასა შენსა შეტოდებანი, და ცოდვანი ჩემნი, და ცოდვით დაცემანი, რაოდენიცა სიყრბით ჩემითვან, დღეინდელად დღედ და ჟამადმდე გცოდვე: უკუეთუ ცნობით ანუ უმეტრებით, უკუეთუ სიტყვით და საქმით ანუ გულის-თქუმით და გონებით და ქცევით, და ყოვლით საცნობელით ჩემით. მეოხებითა უთესლოდ მშობელისა შენისა, ყოვლად-უხრწნელისა და მარადის ქალწულისა მარიამ დედისა შენისადათა, მხოლომსა ურცხუნეელისა სასოებისა და შუამდგომელისა და მაცხოვრისა ჩუენისადათა, ღირს მყავ მე დაუსჯელად ზიარებად ყოვლადწმიდათა, უკუდავთა, ცხოველსმყოფელთა და საშინელთა




საიდუმლოთა შენთა, მოსატყეველად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ: განსაწმედელად, სიმტკიცედ, საკურნებელად, და სიმართლედ სულისა და ჳორცთა აღსაწოცელად და სრულიად უჩინომყოფელად ბოროტთა გულისსიტყუათა, და გულისთქუმათა ჩემთა, პირველითვანვე მოღებულთა, და დამის საოცრებათა, ბნელთა და ბოროტთა სულთა. რამეთუ შენი არს სუფევამ, და ძალი, და დიდებამ, თანა მამით და სულით შენით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვამ წმიდისა იოანე დამასკელისამ, 11

წინაშე კარსა ტაძრისა შენისასა წარდგომილ ვარ და ბოროტთა გულისსიტყუათაგან არა განვეშორები; არამედ შენ, ქრისტე ღმერთო, რომელმან მეზვერვ განამართლე, ქანკელი შეიწყალე და ავაზაკსა სამოთხისა ბჭენი განუხუნე, განმიხუნე მეცა ნაწლევნი კაცთმოყუარებისა შენისანი, შემიწყალე მეცა მოსრული და შემხებელი შენი, ვითარცა მეძავი, და სისხლ-მდინარვ; რამეთუ ერთი იგი, რომელი ფესუსა სამოსლისა შენისასა შეეხო, სენთა კურნებამ მიიღო, ხოლო რომელმან უხრწნელი ფერვი შენი შეიპყრა, განკვნა ცოდვათამ წარიღო; ხოლო მე, უბადრუკი, ყოველსა ჳორცსა შენსა ვიკადრებ შეწყნარებად, რამათა არა დავიწყუა; არამედ შემიწყნარე მე, ვითარცა იგინი, და განანათლენ სულისა ჩემისა საცნობელნი, დასწუნე ჩემნი ცოდვისა მიმართ მიდრეკილებანი, მეოხებითა უთესლოდ მშობელისა შენისა და ჳეცისა ძალთადათა; რამეთუ კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

გმადლობ შენ, უფალო, მამო მოწყალეებისაო და ღმერთო ყოვლისა ნუგეშინისცემისაო. გიგალობ შენ, იესო ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, რომელი განჰკაცუნ კსნისათჳს ნათესავისა კაცთამსა. გადიდებ შენ, მეუფეო ზეცათაო, სულო წმიდაო, ცხოველსმყოფელო, განმწმედელო სულთა და კორცთა ჩუენთაო, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, სამებაო, სრულო, მოუკლებელო, მიუწვდომელო, გამოუთქუმელო, დაუსაბამო ღმერთო ჩუენო. რომელმან ღირს-მყავ მე უღირსი ესე წარდგომად წმიდასა საკურთხეველსა შენსა, ჟამსა ამას საშინელსა, წმიდისა ამის და შესაძრწუნებელისა მსხუერპლისა შენისა შეწირვისასა. გვედრები, უფალო კაცთმოყუარეო, ღირს-მყავ მე გლახაკი ესე ყოვლადუღირსი და ცოდვილი მონაჲ შენი, ღირსებით და სიწმიდით ზიარებად უზრწნელთა მათ და ყოვლადწმიდათა შენთა საიდუმლოთა; ნუ სატანჯუელად და დასასჯელად ჩემდა, ნუცა დასართუელად ცოდვათა ჩემთა, არამედ განსაწმედელად სულისა და კორცთა, წინდად საუკუნოვანსა სასუფეველისა შენისა, აღსაქოცელად ჩემთა ცოდვათა, ზღუდედ ჩემდა და გარემისაქცეველად ყოველთა წინააღმდეგომთა უხილავთა მტერთა ჩემთა. მომხედნე მე, უფალო, ძალით წმიდით შენით და აკურთხენ და წმიდა-ჰყუენ ყოველნი ასონი სულთა და კორცთა ჩემთანი, ძალითა შენითა წმიდითა. ვიცი, უფალო, ვიცი და არა უარვჰყოფ, ვითარმედ ფრიად შეგცოდე და განგარისხე და არა ღირს-ვარ ყოვლადვე ზე აღხილვად ზეცად მიმართ, ანუ თუ მიხეუად წმიდასა დიდებულსა საკურთხეველსა შენსა. მიჰსენ მე, ძეო



ღმრთისაო, მიჰსენ და ნუ მრისხავ, უსასყიდლოდ შემეწყალე და ნუ გამოეძიებ საქმეთა ჩემთა, რამეთუ ბოროტ არიან, და ნუ აღრაცხავ ცოდვათა ჩემთა, რამეთუ მრავალ და ურიცხუ არიან, და ნუ განიკითხავ გულისსიტყუათა ჩემთა, რამეთუ არაწმიდა არიან, და ნუ იხილავ განზრახვათა ჩემთა, რამეთუ შესუარულ არიან. მე ამათ ვიტყუ და აღვიარებ, და დავსწერ, შენ შემინდევ, მომიტყუენ და აღკოცენ. მიჰსენ მე, უფალო, მიჰსენ მე, რამეთუ ყოვლადვე შეგივრდები. დაღაცათუ მრავალ არიან შეცოდებანი ჩემნი შენდამი, მეუფეო, არამედ უფროვს და უმაღლეს წყალობანი შენნი ჩემდა მომართ, სახიერო, რამეთუ შენ მარადის მწყალობ და მე განგარისხებ, შენ სინანულად მომიწოდებ და მე ურჩ გექმნები, შენ სიწმიდით ცხოვრებასა მიბრძანებ და მე მცნებათა შენთა გარდავალ, შენ მხადი და მე გველტი, ესრეთ ყოვლითურთ წინააღმდეგომ შენდა არს ცხოვრებაჲ ჩემი. ჟ, უფალო, კაცთმოყუარეო, რომელმან სისხლი შენი პატიოსანი მიეც საცსრად მონათა შენთათჳს, მიჰსენ მე უშუჯლოებათა ჩემთაგან, რომელმან განსწმდიე წიღოვანი იგი, განსწმდიე მწიკულევანებაცა ვნებათა ჩემთაჲ და ურიცხუთა მათ ცოდვათა ჩემთა სიმრავლეს უგულებელს-ჰყავ. რომელმან შეიწყალე ქანანელი იგი, შემეწყალე მეცა, ძეო ღმრთისაო, რამეთუ არათუ ასული ჩემი, არამედ სული ჩემი საწყალობელი იგუემების ეშმაკთაგან ბოროტთა. განსწმდიე გული ჩემი გულისსიტყუათაგან შეგინებულთა და გუამი ჩემი საქმეთაგან ბოროტთა. ყოვლადვე განმწმიდე მე, უფალო, რამეთუ სრულიად შეგინებულ ვიქმენ. უფალო, რომელმან ბაბილოვნისა მძაფრი იგი საკუმილი დაშრიტე, დაშრიტე მკურავლებაცა ესე გულისა ჩემისაჲ

და მღუღარებად უბადრუკთა ამთ ვორცთა ჩემთად. უწყი, რამეთუ კაცი მდაბალი და უძლურ ვარ, კაცი გლახაკი და უღებ ვარ მე. ჰე, უფალო, ნუმცა წარვწყმდედი ბოროტად და ურვეულად. უწყი, უფალო, რამეთუ კაცი ამაოებასა მიემსგავსა და თივად თუთ განწმედად ვერ შემძლებელ არს. ამისთვის ვითარცა უწყი და ვითარცა გნებავს, განმწმიდე და მაცხოვრე მე, რადთა არა იქალოს მტერმან ჩემმან ჩემ ზედა. ნუ სძლევს, უფალო, ცოდვამ ჩემი წყალობასა შენსა, არამედ წყალობით შემინწყალე მე, და პირველ სიკუდილისა მომმადლე ნაკადული და წყაროდ ცრემლთა, რამეთუ შევინებულ არიან თვალნი ჩემნი და უნაყოფო არს სული ჩემი, ნუ მომსწყუედ, მეუფეო უნანელად. უფალო, უფალო შემინდევე, უფალო შემინწყალე, ღმერთო მილხინე ცოდვილსა ამას, უფალო მიკისენ და განმარინე მე. და ყოველნი მოყუარენი ჩემნი და მტერნი ჩემნი, რამეთუ ჩუენ, ვითარცა კაცთა, შეგცოდეთ, ხოლო შენ, ვითარცა ღმერთ ხარ, შეგკნდევე და განგუწმიდენ ჩუენ ყოვლისაგან ძკრის-კისენებისა. უფალო, შენ უწყი, ვითარცა გულთმეცნიერმან, რამეთუ არა ვითარცა შეუარაცხებით მოუკდეები წმიდათა და უხრწნელთა შენთა საიდუმლოთა, დადაცათუ უღირს-ვარ მოღებად მათდა, არამედ სარწმუნოებითა მკურვალითა შიშით და ძრწოლით ვიკადრებ, რამეთუ უკუეთუ სრულიად განვემორო მათგან, სრულიადცა წარვწყმდე მდაბალი ესე და გლახაკი. და თუ მპოოს მტერმან ჩემმან შიშუელი შორს უფლისა ჩემისაგან, სრულიად შთამნთქას და წარმწყმიდოს მე. მიკისენ მე, უფალო, მწარის მისგან გუელისა, გარე-მაიქციენ ისარნი მისნი, და განსდევენ ჩემგან ბოროტნი გულისსიტყუანი, მსწრაფლგანძრყუნელნი და დამამაბლებელნი



ლოცვათა ჩემთანი. დამიფარე, უფალო, ყოვლისაგან ბოროტისა. დამიცვე მე, უფალო, ყოვლისაგან ცთომისა. მიხსენ მე, უფალო, ყოვლისაგან წვალებისა, და ღირს-მეყუენ, უფალო, მართლმადიდებლობისა სიტყუთა წარდგომად წინაშე შენსა, დღესა მას სიტყუკსებებისა ჩემისასა, ოდეს იგი მიაგებდე თითოეულსა საქმეთა მათთაებრ. მოიკისენე, უფალო, ყოველნი მამანი და ძმანი ჩუენნი, სულიერნი და კორციელნი, რომელნი ჭირსა შინა და იწროებასა და ტანჯუასა შინა არიან. გვედრები, უფალო, განუსუენე პირველ გარდაცვალებულთა მამთა და ძმთა ჩუენთა სულიერთა და კორციელთა. რომელნი ტყუეობასა შინა არიან, უფალო, გამოიკისენე, და რომელნი სულთაგან არაწმიდათა იტანჯებიან განათავისუფლენ, რომელთაგან პირველი მე ვარ. უცხონი, უფალო, დაიცვენ; შეციდებულთა, უფალო, სინანული მოჰმადლე; სნეულნი, უფალო, განკურნენ და ჩუენ ყოველნი, უფალო, შეგწყალენ და შეგკნდევე; და მარჯუენით შენს მდგომარეთა თანა ღირს-მეყუენ მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისადათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისადათა, ვედრებითა წმიდათა ანგელოსთა და მთავარანგელოსთა და დიდებულთა ქერუბიმთა და სერაფიმთადათა, მეოხებითა წმიდისა და დიდებულისა წინამსწარმეტყუელისა და წინამორბედისა შენისა იოანესითა და იოანე ქალწულმასარებლისადათა, მეოხებითა წმიდათა და ყოვლადქებულთა თავთა მოციქულთა პეტრეცს და პავლეს, და სხუათა წმიდათა და მოციქულთადათა, მეოხებითა წმიდისა სტეფანე, პირველ-ღიაკონისა და პირველ-მოწამისადათა, და წმიდათა

მთავარმოწამეთა გიორგი, თეოდორე, დიმიტრი, მერკური, პროკობი, პანტელეიმონ, კვირიკე და არტემისადათა, მეოხებითა ერთობით ყოველთა წმიდათა შენთა, მოციქულთა, წინამდწარმეტყველთა, მღუდელმთავართა, მასარებელთა, მოწამეთა, მამათა, მოღუაწეთა, და რომელნი საუკუნითგან სათნო-გეყუნეს შენ; რამეთუ შენი არს სუფევად, ძალი და დიდებად, პატივი და თაყუანისცემაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სხუად ლოცვად ითანე ოქროპირისაჲ

მრწამს, უფალო, და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ჭკჳმპარიტად ქრისტე, ძმ ღმრთისა ცხოველისაჲ, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ. კუალად მრწამს, რამეთუ ესე არს თვთ უხრწნელი ჳორცი შენი, და ესე არს თვთ პატიოსანი სისხლი შენი. შენ უკუე გვედრები: შემწყალე, მე, შემინდუნ შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, სიტყვთ და საქმით, ცნობით და უმეტრებით, და ღირს-მყავ მე დაუსჯელად ზიარებად უხრწნელთა შენტა საიდუმლოთა, მოსატყეველად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ. ამინ.

ხოლო მი-რად-ხვიდე ზიარებად, სთქუ თავსა შორის თქსსა:

სხუანი ესე მუხლნი მეტაფრასისანი

ესერა მოვეახლები საღმრთოსა ზიარებასა. შემოქმედო, ნუ დამწუავ ზიარებითა, რამეთუ ცეცხლი ხარ უღირსთა შემწუელი. არამედ უკუე განწმიდე ყოვლისაგან მწიკულისა.

ხოლო შეძგომად თქუ:

სერობასა საიდუმლომსა შენისასა დღეს, ძეო ღმრთისაო, ზიარებად შემწყნარე; რადთა არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმლოდ შენი, არცა ამბორს-გიყო ვითარცა იუდა, არამედ ვითარცა ავაზაკი აღვიარებ შენ: მომიცსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა.

კუალად სხუანი ესე:

ღმერთმოქმედისა სისხლისაგან შესძრწუნდი, კაცო, ჰხედვიდე რად: რამეთუ ცეცხლი არს, უღირსთა შემწუველი. ჳორცი ღმრთისაჲ განმადმრთობს მე და მზრდის; განაღმრთობს სულსა და ჰზრდის გონებასა უცხოოდ.

შემდგომად ტროპარნი ესე:

დამატყუევე სურვილითა, ქრისტე, და შემცვალე საღმრთოთა ტრფიალებითა შენითა, არამედ დაწუნ ცეცხლითა უნივთოთა ცოდვანი ჩემნი და ღირს-მყავ აღუსებად საშუებელითა შენითა, რადთა სისარულით ვადიდებდე, სახიერ, მრჩობლსა მოსლვასა შენსა.

ბრწყინვალებასა წმიდათა შენთასა ვითარ შევიდე არა ღირსი, რამეთუ უკუეთუ ვიკადრო შესლვად სასძლოსა, სამოსელი ჩემი მამხილებს მე, რამეთუ არა არს საქორწინშ და შეკრული განვიგდები ანგელოსთა მიერ. განწმიდე, უფალო, მწიკული სულისა ჩემისაჲ, და მაცხოვნე, ვითარცა კაცთმოყუარემან.

მერმე ლოცვამ ესე:

მეუფეო კაცთმოყუარეო, უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩემო, ნუცა დასასჯელ მექმნების მე სიწმიდენი ესე, უღირსებისათვის ჩემისა, არამედ განსაწმედელად და წმიდამყოფელად სულისა და ჳორცისა და წინდად მერმისა ცხოვრებისა და სუფევისა.

ხოლო მიახლება ჩემი ღმრთისა კეთილ-არს, და დადება უფლისა მიმართ სასოებისა ცხოვრებისა ჩემისადასა.

და კუალად:

სერობასა საიდუმლოდსა შენისასა დღეს, ძეო ღმრთისაო, ზიარებად შემიწყნარე; რადთა არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმლოდ შენი, არცა ამბორს-გიყო ვითარცა იუდა, არამედ ვითარცა ავაზაკი აღგიარებ შენ: მომიჳსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა.